პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

 პარასკევი, 3 ივლისი 1925 წ.

წლიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელ-არმიელი

№ 147 (845) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა
ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## ასეთ უმსგავსო საქციელს სამუდამოთ ბოლო უნდა მოეღოს.

დღეს ჩვენს გაზეთში თავსდება ერთი კორესპონდენცია მესამე ლეგიონიდან. ის მოგვითხრობს ერთი წითელ არმიელის უმგვანო საქციელზე, რომელზედაც არ შეგვიძლია არ შევჩერდეთ.

როგორც კორესპონდენციიდან ირკვევა ამ წითელ არმიელს სრულიად დავიწყებია თავისი მაღალი სახელწოდება და ვალდებულებები.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე იმის შესახებ, რომ წითელმა ჯარმა ზაფხულში ყოველმხრივ უნდა ეცადოს დაუახლოვდეს მშრომელ გლეხობას, გაუწიოს მას კულტურული თუ მატერიალური დახმარება და სხვა. წითელი არმია მუშების და გლეხების დამცველი არმიაა. ეს დებულება ჩვენ ათასჯერ გაგვიმეორებია ჩვენი წითელ მოლაშქრეებისათვის, მაგრამ როგორც სჩანს არა ყველა მათგანს შეუგნია ამ სიტყვების მნიშვნელობა, და აი ეს წითელ არმიელი მესამე ლეგიონიდან იმის მაგივრად, რომ მთელი თავისი შეგნებით და მოქმედებით მართლადაც ხელი შეუწყოს გლეხობის და წითელი არმიის მჭიდროთ დამეგობრებას და დაკავშირებას, თავისი უმგვანო საქციელით პირიქით ხელს უშლის ყოველივე ამას.

აბა როგორი წარმოდგენა შეექმნება გლეხს წითელ-არმიაზე, როცა წითელი არმიელი შეიპარება მის ბოსტანში ან ბაღში და დაიწყებს ხილის ჰამას და შემდეგ როცა პატრონი წაადგება მას თავზე, ის მონანიების მაგივრად დაუწყებს გლეხს გინებას და მუქარას?

ცხადია გლეხს წითელ-არმიელის ასეთი საქციელით ცუდი წარმოდგენა შეექმნება წითელ ჯარზე, ის იფიქრებს რომ მთელი წითელი ჯარი ასეთი არამზადებისაგან შესდგება!

ჩვენ არ ვიცით თუ კიდევ მოიპოვება მეორე ასეთი ულირსი წითელ-არმიელი ჩვენს წითელ ჯარში, მაგრამ ერთი კი ცხადია-ასეთი უმგვანო საქციელს უნდა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა თვით წითელ-არმიელების მიერ. ერთხელ და სამუდამოთ ასეთ უმსგავსოებას ბოლო უნდა მოეღოს.

ჩვენ ბევრჯერ აღვნიშნეთ და კიდევ ვიმეორებთ, სოფელთან დაახლოება შეიძლება არა მარტო საშეფო მიტინგების გამართვით, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაში გლეხებისადმი ფრთხილი, ამხანაგური, თავაზიანი მოპყრობითაც.

თავისი შეგნებული მოქმედებით და საქციელით წითელ-არმიელმა უნდა აგრძნობინოს გლეხს წითელი არმიის სიდიადე და დაარწმუნოს ის მასში, რომ წითელი არმია მისი ინტერესების ნამდვილი დამცველია მშვიდობიანი და ომიანობის დროსაც. ძმური დახმარება და თავაზიანი მოპყრობა გლეხებისადმი-აი რა დაახლოვებს წითელ ჯარს სოფელთან და განუყრელ ჰყოფს ამ კავშირს სამუდამოთ.

## მოღალატე მუდამ მოღალატედ დარჩება.

ამას წინად წითელ პროფკავშირების ინტერნაციონალის აღმასკომმა მიმართა ამსტერდამის პროფ გაერთიანებას მოწოდებით შეუდგენ ერთად ჩინეთისათვის დაუყონებლივი დახმარების აღმოჩენას.

იმ თავითვე აშკარა იყო, რომ ყვითელი ინტერნაციონალი ამ წინადადებაზე არ წამოვიდოდა და ასე თუ ისე გვერდს აუხვევდა გადაჭრით პასუხის გაცემას. ეს მოსაზრება სავსებით გამართლდა. დღევანდელი, რადიო-ცნობა გადმოგვცემს, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომი ჩინეთის დახმარების საკითხი გაარჩევს 17 აგვისტოსო ე. ი. ერთი თვე ნახევრის შემდეგ.

რა არის ეს, თუ არა უარის თქმა.

იმ დროს, როცა მთელი ჩინეთის ხალხი ფეხზეა დამდგარი უცხოელი მოძალადეების წინააღმდეგ, როცა ეს ბრძოლა მტაცებელ იმპერიალიზმთან მისგან ყოველდღიურად მოითხოვს აუარება მსხვერპლს, როცა როგორც არასოდეს, საჭიროა მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობა მებრძოლ ჩინეთისადმი და მისთვის დაუყონებლივი დახმარების აღმოჩენა, ამსტერდამის გაერთიანება ამ დახმარების საკითხს განიხილავს მხოლოდ თვე ნახევრის შემდეგ და ვინ იცის კიდევ რას გადასწყვეტს. ყვითელ ინტერნაციონალს ამ გადაწყვეტილებით სურდა არც შამფური დაეწვა და არც მწვადი.

ამსტერდამის გაერთიანებამ ვერ გაბედა გადაჭრითი უარის თქმა, ვინაიდან მან იცის, რომ მით ის დიდ უკმაყოფილებას, გამოიწვევდა მუშათა მასებში.

რაც შეეხება მებრძოლ ჩინეთისათვის დახმარების აღმოჩენას, ეს ხომ აზრად არ აქვს ამსტერდამის გაერთიანებას.

მან რომ ჩინეთს დაეხმაროს, ეს ნიშნავს იმპერიალისტური ბურჟუაზიის ინტერესების წინააღმდეგ წასვლას.

ამის არც უნარი და არც სურვილი არ აქვს გამცემლური ინტერნაციონალის მესვეურებს.

ამსტერდამელები ამჯობინებენ მთელი ჩინეთის განადგურებას, ვიდრე ბურჟუაზიის სურვილების წინააღმდეგ წასვლას. ეს არა ერთხელ დაუმტკიცებიათ მათ.

ესავე დაამტკიცეს ეხლაც თავისი პასუხით პროფინტერნის მიმართვაზე.

ამ პასუხით მათ კიდევ ერთხელ გამოამჟღავნეს მთელი თავისი საზიზღარი კონტრ-რევოლიუციონური ბუნება.

ამსტერდამელებმა არსებითად უარი სთქვეს ჩინეთის დახმარებაზე.

მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ჩინეთის ხალხი მართლადაც გარიყული დარჩება და მასზე არავინ არ იზრუნებს. ჩინეთის ხალხს ყავს ერთგული მეგობარი საბჭოთა კავშირის და მთელი მსოფლიოს მშრომელი ხალხის სახით. ევროპის და ამერიკის მუშები თავისი გამყიდველი ბელადების გარეშეც შესძლებენ ძმური ხელის გაწვდენას ჩინეთისათვის.

მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობა, რომელიც უსინდისოთ ფეხქვეშ გასთელა ყვითელმა ინტერნაციონალმა, დღეს კვლავ ღსდგება. მაგრამ არა ამსტერდამის, არამედ კომინტერნის წითელი დროშის ქვეშ.

დიე! უარი სთქვას ამსტერდამმა. ეს უკეთესია იმ პროლეტარულ მასებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ მას მისდევენ. გამცემლური მოქმედება ყვითელ ი ინტერნაციონალის უფრო შეუწყობს ხელს მუშათა კლასის გარევოლიუციონერებას და მით დააჩქარებს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას.

რაც შეეხება ჩინეთისათვის დახმარებას—ეს საქმე უამსტერდამოთაც კარგად მოეწყობა. ჩინეთის მუშა და გლეხი უიმისოდაც მიიღებს საჭირო დახმარებას საბჭოთა კავშირის და ევროპის პროლეტარიატისაგან.

—ვ.

# ახალი რადიო-ამბები

## ამხ. ჩიჩერინი ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ.

**ანტი საბჭოთა კამპანია ინგლისში.**

როსტას წარმომადგენელთან საუბარში საგარეო საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა განაცხადა:

„ინგლისის პრესის ერთ ნაწილში, როგორც სხვა ქვეყნების პრესაში, ჩინეთის ამბებთან დაკავშირებით სწარმოებს გაცხარებული კამპანია ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ. ამ კამპანიამ თითქმის ოფიციალური დასტური მიიღო ინდოეთის საქმეთა მინისტრის ბირკენხედისაგან. ბირკენხედმა მწუხარება გამოსთქვა იმის შესახებ, რომ ბრიტანეთის მთავრობას არ ჰქონია შემთხვევა გაერთიანებულ ევროპასთან ერთად გაერჩია საკითხი იმ საშინელი სენის შესახებ, რომელიც ცნობილია ბოლშევიზმის სახელწოდებით. ინგლისის მთავრობა ჩაუფიქრდება იმ გარემოებას, რომ მას დიპლომატიური ურთიერთობა აქვს ისეთ სახელმწიფოსთან, რომელიც ყველა ქვეყნებში ჰერქვეშ მუშაობის წარმოებით ძირს უთხრის ბრიტანეთის იმპერიას.

**რა სურს ლორდ ბირკენხედს.**

ბირკენხედის მიზანია დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა ჩვენსა და ინგლისს შორის. ბირკენხედის ეს გამოსვლა ისეთი ნაბიჯია, რომლის შემდეგი ნაბიჯი—ომია. მე როგორც საბჭოთა ფედერაციის საგარეო საქმეთა კომისარმა, უნდა მივაქციო სერიოზული ყურადღება იმ მძიმე შედეგებს, რომლებიც შეიძლება მოიტანოს ბირკენხედის მუქარის განხორციელებამ. მსოფლიო ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი ისედაც საგრძნობლად გართულებულია. დეე, ყოველმა თვით განსაჯოს თუ რა მოჰყვება დიპლომატიურ ურთიერთობის გაწყვეტას სსრკ-სა და ინგლისს შორის. აქ მხედველობაში მაქვს ინგლისის და კერძოდ ინგლისის მშრომელთა ფართე მასების ინტერესები.

**მხოლოდ საბჭოთა კავშირს შეუძლია ინგლისის უმუშევრობის შემსუბუქება.**

ერთის მხრივ ინგლისში უმუშევრობა თანდათან იზრდება. სამრეწველო კრიზისი ვითარდება. სავაჭრო ბალანსი სუსტდება.

მეორეს მხრივ ჩვენი საწარმოო ძალები და საგარეო ვაჭრობა სწრაფად იზრდება. ჩვენს ქვეყანას შეუძლია დღეს ბევრი დაკვეთა მისცეს და გაუსაღოს ინგლისს გაცილებით მეტი საქონელი, ვინემ დღემდის.

**სრული პატივისცემა ჩინეთის დამოუკიდებლობისადმი.**

—ჩინეთის ხალხი თავისი ბედიღბალის ბატონ-პატრონია და ეს ასეც უნდა იყოს,—აი ჩვენი ძირითადი პრინციპი ჩინეთის მიმართ და ამ პრინციპს ჩვენ ვადგივართ ყველა სხვა ხალხთა მიმართ.

ჩინეთის ხალხს არ დაუვალებია ბირკენხედისთვის გამოეტანა გადაწყვეტილება, თუ როგორ განაგონ ჩინელებმა. განა ჩინეთი ფორმალურად კოლონია და დამოკიდებული სახელმწიფოა? განა ჩინეთს თავისი მთავრობა არა ჰყავს? რას იტყოდა ბირკენხედი, რომ ვინმეს მასავით ეთქვა რამე ინგლისის შესახებ? ჩინეთის ხალხს უფლება აქვს თავისთავის პატრონობის.

**საბჭოთა კავშირი მიისწრაფის მშვიდობიან განწყობილებისაკენ ინგლისთან.**

ბირკენხედი ძალიან შორს მიდის და ბრალს დებს ჩვენს მთავრობას, თითქოს ჩვენ ვცდილობდეთ ბრიტანეთის იმპერიის დანგრევას. მაგრამ რად ავიწყდება ბირკენხედს იმის თქმა, რომ საბჭოთა მთავრობა იმ თავითვე სცდილობდა და განმეორებით აძლევდა წინადადებას ბრიტანეთის მთავრობას განეხილათ მთელი სადაო საკითხები და გამოემუშავებიათ ორივე ქვეყნებს შორის შეთანხმება.

დეე, მოიგონოს მან, რომ საბჭოთა კავშირი იყო არა მარტო ინგლისთან შეთანხმების ინიციატორი, არამედ ისიც, რომ ჩვენი სახელმწიფოსადმი ზიანო საცდები გამომდინარეობენ სწორედ დიდ სახელმწიფოებისაგან.

**მხოლოდ საბჭოთა კავშირი მიისწრაფის საერთაშორისო მშვიდობიანობისაკენ.**

ჩვენსა და აღმოსავლეთის ერს შორის დამყარებული მეგობრული ურთიერთობა, რომელიც დღითი დღე მტკიცდება, და ერთა შორის თვითგამორკვევის პრინციპი, რომელსაც ატარებს საბჭოთა მთავრობა შიგნით, აშკარა დამახასიათებელია ჩვენი მშვიდობიანური განწყობილებისა.

მე არა ერთხელ განვაცხადე, რომ ჩვენი მთავრობა მზადაა შეუთანხმდეს ყველა სახელმწიფოს საერთაშორისო მშვიდობიანობისა და საერთაშორისო ურთიერთობის მოგვარების მიზნით.

ეს არის საუკეთესო დამამტკიცებელი იმ ცილისწამების უსაფუძვლობისა, რომელსაც ადგილი აქვს უცხოეთის პრესის მომეტებულ ნაწილში.“

## საბჭოთა კავშირი იცავს ჩაურევლობის პოლიტიკას.

ინგლისი დაინტერესებულია ჩინეთთან ვაჭრობით. ჩვენ არც ერთი ნაბიჯი არ გადაგვიდგამს იმისთვის, რომ ხელი შეშლოდა ინგლის—ჩინეთის ვაჭრობას, პირიქით: ჩინეთის წინაშე მდგარ ამოცანების გადაჭრა მეტად შეუწყობს ხელს ჩინეთთან ინგლისისა და სხვა ქვეყნების ვაჭრობის განვითარებას.

მე არ ვფარავ, რომ ჩვენ თანავუგრძნობთ ჩინეთს განმათავისუფლებელ ბრძოლაში, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა კავშირი სხვის საქმეში ერეოდეს.

უხეში ტყუილია აგრეთვე ისიც, თითქოს ჩვენს მთავრობას სურდეს ჩინეთის არევ-დარევისთვის ხელის შეწყობა. არევ-დარევას ხელს უწყობს თვით იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლებიც ხან ერთსა და ხან მეორე გენერალს ეხმარებიან ერთმანეთის წინააღმდეგ.

## ჩინეთი—„დიდი“ სახელმწიფოების მსხვერპლი.

ასეთია გარემოება, რომელშიაც ბირკენხედი მოითხოვს ჩვენთან ურთიერთობის შეწყვეტას.

ჩინეთი, რომელიც ყოველ მხრივ მსხვერპლია კაპიტალისტური ქვეყნების, სხვა და სხვა გვარი პოლიტიკური დემონსტრაციებით აღსდგა კაპიტალის წინააღმდეგ.

თვით ამერიკის სენატორმა—ბორამაც კი განაცხადა: „ჩინეთში არეულობა არ მოხდება, თუ რომ უცხოელები პატივს სცემენ ჩინეთის ხალხის უფლებებს“. ბირკენხიდი და კომპანია კი სცდილობს უცხოელთა ბატონობის დაცვას ჩინეთში და ამზადებენ საზოგადოებრივ აზრს თავიანთ ქვეყნებში.

## ᲘᲜᲒᲚᲘᲡ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ.

„ვესტმინსტერ გაზეტტის“ დიპლომატიური კორესპონდენტი სწერს, რომ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა იმდენად რთულდება, რომ შეიძლება დასრულდეს დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტით“. ამის უშუალო მიზეზად კორესპონდენტი ასახელებს მინისტრების—ბირკენხედისა და ხოგკის გამოსვლას, რომლებმაც განაცხადეს, რომ ჩინეთის მღელვარება გამოწვეულია ბოლშევიკური აგიტაციით.

შემდეგ კორესპონდენტი აცხადებს, თითქოს მას ჰქონდეს საბუთი იფიქროს, რაკოვსკის მოსვლით იქნება ურთიერთობის გაუმჯობესების ცდები ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის.

## ამსტერდამი გაიძვერობს.

ამსტერდამის პროფკავშირთა გაერთიანების აღმასკომის სხდომა, რომელზედაც უნდა გაირჩეს პროფინტერნის წინადადება ჩინეთზე დახმარების გაწევის შესახებ, მოხდება 17 აგვისტოს. როგორც სჩანს, ამსტერდამის ინტერნაციონალმა შეიძლება პასუხიც არ მისცეს პროფინტერნის წინადადებაზე.

## მეპატრონეები ომს აცხადებენ.

ინგლისის მაღაროს მეპატრონეებმა გაუგზავნეს სამთომადნო მუშების ფედერაციას შემდეგი შინაარსის წერილი, რომელიც გამოქვეყნებული იყო წინასწარ გაზეთში:

„მაღაროს პატრონები მწუხარებას გამოსთქვამენ, რომ სამთომადნო მუშათა ფედერაცია არაა იმის თანახმა, რომ სამთო მრეწველობის მდგომარეობა მოითხოვს საკითხის გარჩევას სამუშაო ხელფასისა და შრომის პირობების შესახებ“.

ფედერაციის თავმჯდომარე კუკმა განაცხადა, რომ ამ წერილის გამოქვეყნება პრესაში მანამ, სანამ მას გაარჩევდენ სამთომადნო მუშები, წარმოადგენს ომის გამოცხადებასო.

## გერმანიის სტუდენტ-ტერორისტების პროცესის შესახებ.

მიხლერი გამორიცხეს კომუნისტური პარტიიდან.

კომუნისტურ ორგანიზაციის თავმჯდომარე დურლახში ვალენტინ მიხლერი გამორიცხულ იქნა კომპარტიიდან.

თავის დროზე მიხლერმა მიიღო პარტიაში კინდერმანი,



კინდერმანი.



დიტმარი.

ხოლო შემდეგ 1921 წელში მან მოაწერა ხელი საბუთს, რომლითაც ის ესარჩლებოდა კინდერმანის მამას.

მიხლერის აზრით ის ორ უსინდისო გაიძვერების მსხვერპლი შეიქნა.



ვოლშტი.

## აჭარისტანისა და დასავლეთ საქართველოს რადიოფიკაცია.

ბათუმის რადიო სადგურების რადიო-ტეხნიკთა საერთო კრებამ გამოჰყო 4 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც ეკისრება მუშაობა აჭარისტანისა და დასავლეთ საქართველოს რაიონების რადიოფიკაციის საქმეში.

## ამხ. ლუკაშინის გამომგზავრება ტფილისში.

ერევნიდან ტფილისში გამოემგზავრა ამიერ კავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის ჩასაბარებლად, ამიერკავკასიის ეკონომიურ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლუკაშინი.

## ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ

### ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲡᲔᲣᲚᲨᲘ.

ასეული უშუალოდ აწარმოებს ომს.

მის მიერ დაკავებული მთელი უბანი იმყოფება მტრის თოფის, არტილერიის და ტყვიამფრქვევის ცეცხლ-ქვეშ. ასეთ პირობებში კავშირის დაკავება მეტად ძნელი საქმეა. კავშირის ის საშუალება, რომელიც იხმარება არტილერიის შორი ცეცხლის ზონაში, სრულიად გამოუსადეგარია მტერთან უშუალო სიახლოვის დროს.

ადგილმდებარეობასაც დიდი გავლენა აქვს კავშირის დაჭერის საქმეში: ვაკე, გაშლილ ადგილზე კავშირს არ შეუძლია მოქმედება მტრის ცეცხლის გამო; ბუჩქებიან, ღრეებიან, თხრილებიან და გორაკიან ადგილებშიც ძნელია აგრეთვე კავშირის დაჭერა. ამრიგად ამათუიმ კავშირის საშუალების ხმარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მანძილზე იმყოფება მტერი და როგორია ადგილმდებარეობა. ამასთან მთავარი პირობაა კავშირის საიმედოობა, ე. ი. ყოველგვარ გარემოებაში ასეულს უნდა ჰქონდეს განუწყვეტელი კავშირი; მეორედ—ბრძანებები და დასმენა მოცემულ კავშირის საშუალებით სწრაფად და სწორად უნდა გადაეცემოდეს.

რა საშუალებები აქვს ასეულს?

პირველყოვლისა შიგა კავშირი. დღეს ათეულები და ოცეულები ადგილს იკავებენ საკმაო დიდ მანძილზე: ასეულს უჭირავს კედაროთი 600-800 მეტრი და იმდენივე სიღრმეში. ხშირად უხდება ოცეულს, ათეულს და ცალკე მეომრებს დამოუკიდებლად მოქმედება, სანამ ზევიდან ბრძანებას მიიღებდენ. ხოლო ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა ყველა მეომრებს ეცოდინებათ ბრძოლის მიზანი, ე. ი. როცა თვითეულ მეომარს ეცოდინება ასეულის ამოცანა. ამ რიგად ისინი მტკიცედ იქნებიან შეკავშირებული შიგა კავშირით. ეს მით უფრო საჭიროა, რომ თუ ადგილი ექნა უფროსის დაღუპვას, მეომარი არ დაიბნევა, ვინაიდან ეცოდინება, თუ რა უნდა აკეთოს.

მაგრამ მარტო შიგა კავშირი ცოტაა; ამისთვის ასეულს აქვს კიდევ ტეხნიკური და ჩვეულებრივი საშუალებანი. ტეხნიკურ საშუალებას ეკუთვნის ტელეფონი, მხედველობითი კავშირი, პირობითი ნიშნები, ფარნები, ბგერითი კავშირი (ხმა, წივილი, საყვირი და სხვა). ჩვეულებრივ (ცოცხალ) საშუალებებს ეკუთვნის: მორბედები, წყვილ საგუშაგოების ჯაჭვი, კავშირის მზვერავები, ტყვიის მიმტანი, სანიტარები და სხვა.

თუ რომელ პერიოდში როგორი სახის კავშირი იხმარება, ეს დამოკიდებულია საბრძოლო გარემოებაზე, რის შესახებაც შემდეგში ვილაპარაკებთ.

პ.

## ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲘᲛᲘᲐ.

### 2. ᲥᲘᲛᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲘᲛᲘᲣᲠ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ.

ჩვენი მიწადმოქმედების მდგომარეობა.

დღემდის ჩვენი სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა უნუგეშო იყო. მოსავალი ჩვენში 2—3 ჯერ ნაკლები იყო, ვინემ საზღვარ გარედ. ეს კიდევ ცოტაა, ჩვენი მინდვრების მოსავლიანობა უკანასკნელ დრომდი თანდათან ეცემოდა და ამ რიგად ჩვენი სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა შეიძლება კატასტროფიული გამხდარიყო. ამ მოვლენის მიზეზია მიწის კარგად დამუშავებისა და მიწის მოვლის არ ცოდნა და, რაც უფრო მთავარია, ის გარემოება, რომ ჩვენ დღემდის თითქმის არც კი ვპატივებდით მიწას, არ ვხმარობდით მიწის განოყიერებისთვის „იმ ქიმიურ მინერალურ საშუალებებს“, რომლებიც იხმარებიან და იხმარებოდენ დიდი ხანია საზღვარ გარედ. რომ დაახლოებით მაინც დავაფასოდ ქიმიურ დაპატივების მნიშვნელობა ქვავის მოსავლისთვის, შეიძლება მოვიყვანოთ ქვავის მოსავლის რაოდენობა დაპატივებულ და დაუპატივებელ მიწაზე: დაპატივებული დესეტინა იძლევა 100 ფუთზე მეტ ქვავს, ხოლო დაუპატივებელი—მხოლოდ 50 ფუთამდი.

**დაპატივების მნიშვნელობა.**

განვიხილოთ ქიმიურ მინერალური დაპატივების მნიშვნელობა მოსავლისთვის. ყოველი მიწა შესდგება სხვა და სხვა ნივთიერებათა ნარევისაგან. ზოგი მათგანი სასარგებლოა მცენარეულობისთვის, ზოგი კი სრულებით არაა საჭირო. როცა მცენარე (ქვავი, პური და სხვა) იზრდება, ის ღებულობს მიწიდან იმ ნივთიერებას, რომელიც საჭიროა მის საზრდოთ. ასეთი ნივთიერებანი ყოველ სხვა და სხვა მიწაზე განსაზღვრულ რაოდენობითაა. თუ ჩვენ მიწის რომელიმე უბანზე დავთესავთ ან მოვაშენებთ მცენარეებს და გაზრდის შემდეგ (მოსავლის) მოვჭრით ამ მცენარეებს და წავიღებთ, მიწის ამ უბანზე მცენარესთვის საჭირო ნივთიერება ნაკლები დარჩება და ბოლოს, რამოდენიმე მოსავლის აღების შემდეგ, სრულიად აღარ დარჩება. მიწა იფიტება, ელევა მცენარის მასაზრდოებული ნივთიერება და აღარ იძლევა მოსავალს.

გამოფიტული მიწა, რომ გავანოყიეროთ, საჭიროა მისი დაპატივება, მონაკვლა, ე. ი. მიწას უნდა მისცე ისეთი ნივთიერებანი, რომლებიც საჭიროა მცენარეების საზრდოობისა და ზრდისთვის. აი ამას ეწოდება განოყიერება.

ლ. ვორონოვი.

## ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲗ ᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲓ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ-ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐᲛᲓᲔ.

(წინადადების სახით).

ყველასათვის აშკარაა ის, რომ უმთავრესი მუშაობის წარმოება ტერ-ნაწილებს მოუხდებათ შეკრებათა შორის. ამაზე არის დამყარებული როგორც შეკრების სასურველად ჩატარება, ისე სამხედრო ნაწილების დაკავშირება მშრომელ მასასთან. ამიტომაც საჭიროა, რათა ამ საკითხს ე. ი. შეკრებათა შორის ცვალებად შემადგენლობასთან, დაკავშირებას, მოვეპყრათ უფრო დაფიქრებით და სერიოზულად. ამ მხრივ გამოცდილება ჩვენ, როგორც ახალ დივიზიას, რა თქმა უნდა, ნაკლები გვაქვს შედარებით სხვა ცენტრალურ ოლქების ტერიტორიალურ დივიზიებთან; ამ მიზნით საჭიროა მოხდეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა ტერ-მუშაკებთა შორის ამ საკითხის ირგვლივ, რომ უფრო ნორმალურ კალაპოტში ჩავაყენოთ მუშაობა შეკრებათა შორის.

უმთავრეს და პირველ ხარისხოვან საშუალებათ ცვალებად შემადგენლობასთან დაკავშირების საქმეში უნდა ჩაითვალოს რწმუნებულთა ინსტიტუტი, რომელიც ჩვენ ამ ჟამად უკვე გვაქვს (ამის შესახებ დაწვრილებით, შემდეგ).

მეორე-ეს არის ცვალებადელთა კონფერენციები—ამას აქვს დიდი მნიშვნელობა და ჩატარებულ კონფერენციებმა მოგვცეს დადებითი შედეგები. ას თი კონფერენციების მოწვევა უსათუოდ დაკანონებული უნდა იყოს.—მესამე-ეს არის მხანაგური მიწერ-მოწერა ძირეთ და ცვალებად შემადგენლობის შორის.

მაგრამ იმისათვის რომ ცვალებადელი ერთი წუთითაც არ გაუშვათ ჩვენი გავლენისაგან, რომ ის მუდამ გრძნობდეს მას, რომ ის არის ამა თუ იმ სამხედრო ერთეულის წითელ არმიელი, საჭიროა კიდევ ახალი საამისო საშვალებათა ძებნა.

ერთ-ერთ ახალ ფორმათ შეკრებათა შორის ცვალებადელებთან მჭიდრო დაკავშირებისა ჩემის აზრით უნდა ჩაითვალოს „სახლი ცვალებადელისა“ (ДОМ переменника). ასეთ „სახლების“ შოვნა ჩვენს ნაწილებს ადგილობრივ ხელისუფლების დახმარებით შეუძლიათ იოლად.

როგორ უნდა იქმნეს მოწყობილი „სახლი ცვალებადელისა“?, რა თქმა უნდა მისი მოწყობილობა დაახლოვებით უნდა წააგავდეს გლეხთა სახლების მოწყობილებას; უნდა მოეწყოს „სახლში“ კუთხე ცვალებადელისა, შერჩეული წიგნებით, პლაკატებით, ლოზუნგებით და სხვა. უნდა მოეწყოს სამკითხველო, სადაც უნდა იყოს ყველა გაზეთები და განსაკუთრებით კი გლეხური ჟურნალ-გაზეთები, უნდა მოეწყოს საწოლები დაახლოვებით 5-დან 8-მდე (რაზედაც დახმარებას უსათუოდ გაგვიწევს ადგილობრივი ხელისუფლება).

„სახლი“ უნდა უშვებდეს კედლის გაზეთს, რომლის სარედაქციო კოლეგიაში მიზიდულ უნდა იქმნეს ცვალებადელები, რომლებიც ცხოვრობენ ნაწილთან ახლოს. გაზეთი უნდა აშუქებდეს უმთავრესად ცვალებადელების, და საერთოდ სოფლის ან ქარხნის ცხოვრებას.

იქვე უნდა მოეწყოს საცნობო მაგიდა, მთავრობის ყოველგვარი დადგენილებების, დეკრეტების, განკარგულებების და კოდექსების კრებულებით, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის, მიწათ მოწყობის, შეღავათების და სხვათა შესახებ.

დასასრულ, სახლს უნდა ჰყავდეს თავისი გამგეობა, რომელშიდაც შევლენ ძირეთ შემადგენლობიდან, ცვალებადელებიდან და სამოქალაქო ორგანიზაციებიდან (პარტკომი, მასკომი, კომკავშირი).

იდეური ხელმძღვანელობა სახლზე უნდა დაეკისროს ნაწილის პარტ-და კომკავშირის ორგანიზაციებს, რომელიც თავის წრიდან ნიშნავს ყოველ დღიურად მორიგეებს „ცვალებადელთა სახლში“.

მიზანი სახლისა გასაგებია, სახელდობრ ის, რომ ცვალებადელი ჩამოსული სამაზრო ცენტრში (და ასეთი ჩამოსვლები რა თქმა უნდა ხშირია და უფრო გახშირდება სახლის სათანადო მოწყობის შემდეგ). მივა „თავის“ „სახლში“,—წაიკითხავს კედლის გაზეთს, ესაუბრება მორიგეს და საერთოდ დაუკავშირდება ნაწილის ძირითად შემადგენლობას; და თუ ცვალებადელი შორიდან არის და დაბრუნება არ შეუძლია გაითევს ღამეს და მოისვენებს იქვე მოწყობილ საწოლზე. ვფიქრობ რომ ეს არის ერთერთი საუკეთესო ფორმათაგანი ცვალებად შემადგენლობასთან დაკავშირებისა და აუცილებლივ მოგვცემს იმას, რომ ცვალებადელი მუდამ იქნება ჩვენს გავლენის ქვეშ, რაც ჩვენ მიზანს შეადგენს. ამ გზით ჩვენ დავეხმარებით მას ყოველგვარ მისთვის გაუგებარ საკითხების გამორკვევაში.

საერთოდ ამ საკითხის გარშემო სასურველია ამხანაგებმა გამოსთქვან თავიანთი აზრი.

ნ. ბლუაშვილი.

# ცვალებადელთა პირველი დღეები წითელ ყაზარმაში.

## გავამართლებთ იმედებს.

(მეორე არტ-ლეგიონის ცხოვრებიდან.)

ჩვენი ნაწილიც შეივსო ცვალებადელებით, რომელთა უმრავლესობას შეადგენს დასავლეთ საქართველოდან მოსული ახალგაზრდები.

ჩვენ, ტერ-ნაწილების წითელ არმიელები საბჭოთა ხელისუფლების პირველ დაძახებისთანავე შევნებულად ჩავდექით წითელი არმიის რიგებში, სადაც დავრჩებით მხოლოდ რამოდენიმე თვეს.

ამ მცირე დროის განმავლობაში ჩვენ შევისწავლით წერა-კითხვას, პოლიტიკურ და სამხედრო ცოდნას და შევნებული დავბრუნდებით ჩვენ-ჩვენ სოფლებში.

ჩვენთან უკვე არის გამოყოფილი პოლიტხელი, რომელიც ვამეცადინებს პოლიტიკურ წრეში.

სამხედრო მეცადინეობაც მიმდინარეობს ნორმალურად. ცვალებადელებში მყოფ წერა-კითხვის უცოდინარებთანაც დაჯგუფულია მეცადინეობა, და დაკვრითი წესით ტარდება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ჩვენ თუ დღემდე არ ვიცნობდით ყაზარმულ ცხოვრებას, დღეს უკვე თვალ წინ გადაგვეშალა ეს და არც ერთ წუთს არ დავკარგავთ ტყუილად.

ამ მცირე დროის განმავლობაში ჩვენი უფროსების და მასწავლებლების გადმოცემულს შევისწავლით კარგათ და ვეცდებით ეს ცოდნა სოფლად მუშაობაში სახლებში დაბრუნების შემდეგ გამოვიყენოთ.

ახკორი მაკ. მამალაძე.

## მოგვეცით პარიკმახერი.

(მე 6-ე ტერ-ლეგიონი).

ჩვენი ლეგიონის უფ-პოლიტშემადგენლობას დღემდი ყავდა საკუთარი დალაქი, რომელიც ყოველდღიურად ისე იცვლებოდა, როგორც მარტის დღის ამინდი. მაგალითად: შუადღემდი ერთი დალაქი მუშაობდა, ნაშუადღევს კიდევ მეორე.

არ იქნა და არა, ყოვლად შეუძლებელი შეიქნა ისეთი დალაქის დაქირავება, რომელიც დარჩენილიყო ჩვენს ნაწილში ერთი თვით მაინც. იქნებ რომელიმე ჩვენთაგანი ყოფ ამაში დამნაშავე ან და ყოფილა თუ არა შემთხვევა, რომ რომელიმე ჩვენთაგანს არ გადაეხადოს ჯამაგირების დარიგების დროს დალაქის კუთვნილი ფული? ასეთ მოვლენას ადგილი არ ჰქონია ჩვენს სინამდვილეში. გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც რომელიმე უფ-შემადგენლობიდან გადაჰყავდათ სხვა ნაწილში ან და უშვებდენ სხვა და სხვა მიზეზების გამო უვადო შვებულებაში.

ავად იყო თუ კარგად, დღემდი ვსარგებლობდით მაინც დალაქოთი. დღეს კი სრულებით მოკლებული ვართ ასეთს, რის გამოც ჩვენი უფ-პოლიტშემადგენლობა არის უხერხულ მდგომარეობაში.

იმედია ჩვენი სამნეო ნაწილის უფროსი მოგვინახავს ერთ მუდმივ დალაქს.

სამხკორი ნანი.

## ადგილობრივი დაწესებულებები გვეხმარებიან.

მეექვსე ლეგ. № ასეული.

ლიუქსემბურგში მდგომ მეექვსე ლეგ. № ასეულს ადგილობრივმა დაწესებულებებმა დიდი დახმარება გაუწია ცვალებადელების გამოწვევის დროს. ათ კარგად აქვთ გათვალისწინებული თუ რა დიდ მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს საბჭოთა ხელისუფლება ჯარის ტერიტორიალურ სისტემაზე გადასვლით და მთელი თავისი ენერგიით ლებულობდენ მონაწილეობას რომ კარგად ჩატარებულიყო გამოწვევა. აღმასკომმა, ასეულის ლეგიონში ჩამგზავრებლად გადმოგვცა 9 ორთვალები. სახარჯოთ თეთრი პური, თამბაქო და წუმწუმა. ახლად მოსული ცვალებადელები გაკვირვებაში მოიყვანა ასეთმა ყურადღებამ.

ასეულის მთელი შემადგენლობა მადლობას უცხადებთ ლიუქსემბურგის აღმასკომს და მის თავმჯდომარეს ასეთი ყურადღების მიქცევისა და დახმარებისათვის და ფიცს ვსდებთ, რომ ერთგულად მოვკიდებთ ხელს ამ დიადი საქმის წარმატებით დასაგვირგვინებლად წარმოებულ მუშაობას.

სამხკორი ნ. ნანუაშვილი.

## გავეცანით ერთმანეთის მდგომარეობას.

მე-4-ე ლეგიონი.

სულ ორიოდე ვერსის მანძილზე დაშორებით მდებარეობს სოფ. ტინისხიდი ქალაქიდან. მიუხედავათ ასეთი სიახლოვისა ქალაქთან, ეს სოფელი ძალიან ჩამორჩენილია განაპირა სოფლებზედაც კი, როგორც კულტურულად, ისე პოლიტიკურადაც, ამიტომ ლეგიონმა გადასწყვიტა აელო მასზე შეფობა.

21 ივნისს ლეგიონის საშეფო კომისია გაემგზავრა ხსენებულ სოფელში, სასოფლო სამეურნეო წიგნებით და გაზეთებით დატვირთული, რათა დაწვრილებით გასცნობოდა გლეხების ყოფა-ცხოვრებას. მისვლისთანავე სანამ კრება გაიხსნებოდა გლეხებსა და კომისიის შორის გაიმართა ხანგრძლივი საუბარი, რომლის დროსაც საშეფო კომისიამ ბევრი რამ ნახა და გაიგო გლეხების ყოფა ცხოვრებიდან.

ჩვენს საშეფო სოფელში ირიცხება 80 კომლი გლეხი, სულ ცხოვრობს 470 კაცი ათი წლის ზევით. მიუხედავათ ასეთი სიმრავლისა, სოფელს არა აქვს სკოლა, ბიბლიოთეკა და არც სასოფლო-სათემო აღმასკომი, რის გამოც დიდ გაჭირვებას განიცდიან.

წერა-კითხვის უცოდინარები 90 პროც. აღწევენ. ლიახვზე უხიდობის გამო, ქალაქთან კავშირს მოკლებულნი არიან.

ხანგრძლივი საუბრის შემდეგ გაიხსნა კრება, სადაც მოხსენება გააკეთა კულტ-შეფის კომისიის თავმჯდომარემ ამხ. გოგორიშვილმა. ამხ. ფართოდ გააშუქა წითელი არმიის ყოფა-ცხოვრება, ტერსისტემის ძირითადი პრინციპები, ხელისუფლების მიერ გადამწყვეტ ზომების მიღება სოფლის გასაუმჯობესებლად, წითელი არმია და გლეხობა და განუმარტა აგრეთვე კულტშეფობის მნიშვნელობა და ჩვენი საშეფო კომისიის მიზანი.

საუბარმა და მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა გლეხებზე. მოხსენების შემდეგ გლეხების მიერ დასმულ იქნა სკოლის საკითხი. აირჩიეს კომისია, რომელმაც უნდა გაიგოს თუ რა დაუჯდება სოფელს სკოლის აშენება, რომელიც უნდა გაიხსნას ენკენისთვიდან აუცილებლად. ყველა შეკითხვები კომისიის მიერ სათანადოთ იქნა გაშუქებული. გლეხებმა მოითხოვეს, რათა საშეფო კომისიამ ხშირად ინახულოს სოფ. ტინისხიდის გლეხობა.

კომისიას განზრახული აქვს ამ ახლო მომავალში გამართოს საშეფო სოფელში წარმოდგენა.

სამხკორი ჯღანკი.

## მიბაძეთ ასეთ წ. არმიელს.

მესამე ლეგიონის 4-ხე ასეული.

ჩვენს ასეულში გვაქვს მშვენივრად მოწყობილი წითელი კუთხე. ლიტერატურა საკმაოდ მოიპოვება კუთხეში ყოველთვის, რადგან მას სათავეში ყავს მეტად მოჰირნახული და წიგნის დიდი მოყვარული ამხ. მელიქ გეორქოვი.

საკვირველია თუ ნაწილში მისვლისას წერა-კითხვის სრულიად უცოდინარი გეორქოვი, როგორი გულმოდგინეთ მოეკიდა მეცადინეობას, როგორ შეიყვარა წიგნი და დღედამე ხელიდან არ იშორებდა მას.

ასეთი გულმოდგინებით მან სულ მცირე ხნის განმავლობაში შეისწავლა წერა-კითხვა და იმდენად საფუძვლიანად, რომ კუთხის გამგეობაც კი შესძლო.

ყველა შეკითხვებზე გარკვეულ და ზრდილობიან პასუხს იძლევა ყოველთვის.

ეს ამხანაგი საუკეთესო მაგალითია იმისი თუ როგორ აკეთილშობილებს წიგნები ადამიანს. საჭიროა მიბაძავდენ სხვა ამხანაგები მის საქციელს და დაეწაფონ ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების კითხვას. ნუ გავაცდენთ თავისუფალ საათებს და ისე მოვიხმაროთ ისინი, როგორც იყენებდა მათ ხსენებული ამხანაგი.

წითელი არმიისათვის ასეთი ახალგაზრდებია საჭირო. მივბაძოთ მას.

წ. არმ. გრ. შორაპნელი.

# ნაწილების მუშაობა ზანაკში.

## პურში მატლებს ვნახულობთ.

1-ლი საარტილერიო ლეგიონი

ზანაკად გასვლის დროს პური ძლიერ ცუდი გვეძლეოდა და შემდეგ ისიც ნორმაზე ნაკლები, რაც შემდეგში გამოსწორებული იქნა, მაგრამ ამ უკანასკნელად საუბედუროდ ეს კიდევ განმეორდა.

პურს ხან გამოშრობა აკლია და ხან ძლიერ უსუფთაოა. ხშირად ვნახულობთ შიგ ბაწრებს, დიდრონ შავ-შავ ქიებს და სხვა, რომლის დანახვაზე გული გვერევა და რა თქმა უნდა საჭმელსაც ვეღარ შევექცევით.

მიაქციეთ ყურადღება ვისაც ეს გეხებათ, თორემ ცუდ წყალთან, ცუდი პურიც, ავადმყოფობას გაავრცელებს არმიელებში. საჭიროა დროზე მიეშველონ საქმეს.

სამხკორი ს. ძიროვნელი.

## ცხენებს უნდა გაუფრთხილდეთ.

პირ. საარტ. ლეგიონი.

ამ რამოდენიმე ხნის წინად ლეგიონის უფროსმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც სადმე ცხენით გამგზავრებულ წითელ-არმიელს ეკრძალება ცხენის ნავარდით წაყვანა, თუ ძალიან საჩქარო საქმე არ არის შესასრულებელი. წითელ არმიელებისაგან ეს ბრძანება სისწორით სრულდება, მაგრამ სამწუხაროთ ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება მიიღოთ ლეგიონში, რომ მხოლოდ წითელ არმიელს ეხება ეს ბრძანება და არა სხვას.

ჩვენი წითელი მეთაურები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მას და როდესაც შეჯდებიან ცხენებზე, ყოველთვის დაღლილი და გაოფლიანებული მოყავთ ნაწილში. ნუ თუ ჰგონიათ ამ ამხანაგებს რომ, თუ წითელი მეთაური გაანავარდებს—გააჭენებს ცხენს ეს მას-არ ავნებს?

საჭიროა გააგებიონ მათ, რომ ლეგიონის თავის მიერ გამოცემული ბრძანება წითელ არმიელსაც ეხება და მეთაურებსაც.

სამხკორი ბაშელი.

## მოგვეცით პირადი წიგნები!

(მე-2 ლეგ.)

ჩვენ, მეორე ლეგიონის წითელ არმიელებს დღემდე არ გვაქვს პირადი (სამსახურის) წიგნაკები, რომლის უქონლობის გამო ხშირად აქვს ადგილი სხვა და სხვა გაუგებრობას.

ხშირია შემთხვევა რომ გვეკითხებიან ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლები ჩვენს ვინაობას. ჩვენ კი ამის დამამტკიცებელი სათანადო საბუთი არა გვაქვს.

როგორც ვიცით წითელი არმიის რიგებში ყოფნის ექვსი თვის შემდეგ უნდა მოგვცემოდა პირადი წიგნაკები, მაგრამ აგერ ცხრა თვეზე მეტი გადის და ასეთების მოცემაზე არავინ არ ფიქრობს.

ნაწილის მესვეურებო მიაქციეთ ამას სათანადო ყურადღება და მოგვეცით პირადი წიგნაკები, რითაც აგვაცდენთ ყოველგვარ გაუგებრობას.

წ. არმიელი შხივანელი.

## გვიხსენით ვირთაგვებისაგან.

პირველი ლეგიონი.

პირველი ლეგიონის ყაზარმა სულ დახრულია ვირთაგვებისაგან. ამჟამად იქ მყოფი მეორე ასეული ძლიერ ცუდ მდგომარეობაში იმყოფება. ვირთაგვები იმდენად დიდები და ბლომათ არიან, რომ დღისითაც, როდესაც წითელ არმიელები სხედან და მეცადინეობენ შეუპოვრად გამოდიან თავის სოროებიდან და ერთმანეთს აჰყივლებენ.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ვირთაგვები წითელ-არმიელების პურს და შაქარს ანადგურებენ. ისინი წითელ-არმიელების რანცებშიდაც თავისუფლად დასეირნობენ.

საჭიროა რაიმე საწამლავის შოვნა და მით თაგვების მოსპობა, თორემ ისინი თუ მრავლდებიან თორემ არ კლებულობენ. მგონი ეს ლეგიონის უფროსი ექიმის საქმეა და იმედი გვაქვს ზომებს მიიღებენ.

სამხკორი კახელი.

## წითელ არმიელი, რომელიც ჩირქს სცხებს წითელ არმიას!

მესამე ლეგიონი.

მესამე ლეგიონის სამნეო ნაწილში მსახურებს წითელ არმიელი გურჯიშვილი, რომელიც ძლიერ განირჩევა თავისი ცუდი საქციელით სხვა არმიელებისაგან. ყოველფეხის გადადგმაზე იგინება და ილანძღება. შეუძლებელია მასთან ადამიანურად დალაპარაკება. ეს ასეულში.

ყველაზე უფრო სამწუხაროა ის, რომ ეს ამხანაგი ასევე ექცევა ჩვენი ზანაკის მახლობლად მცხოვრებ გლეხებს. გადიპარება მათ ბაღებში და ვინ იცის რას არ სჩადის და რას არ იპარავს. ერთ დღეს როდესაც ბაღს იპარავდა თავზე წაადგა გლეხის ცოლი, რომელმაც საყვედურით მიმართა. ამ ვაჟბატონს შერცხვენის და ბოდიშის მოხდის მაგიერ, ისევ ლანძღვა გინებით მიუმართავს და გლეხის ცოლი დამფრთხალი გაუბრუნებია უკან.

როდის მოეღება ბოლო მის ასეთ ნავარდს?

ის თავისი საქციელით ჩირქს სცხებს მთელ ლეგიონს და წითელ ჯარის პრესტიჟს სცემს გლეხობის წინაშე.

მიაქციეთ ყურადღება ვისაც ეს შეეხება, დააკავეთ თავაშვებული.

წ. არმ. მიხ. ინაშვილი.

## ხელს ნუ გვიშლი

პირველი ლეგიონის მეორე ასეულში ვართ ახლათ გამოწვეული წითელი არმიელები, რომლებიც ცოდნის მიხედვით დაყოფილი ვართ ჯგუფებათ. პირველ ჯგუფში ირიცხებიან მცოდნეები, მეორეში—მცირე მცოდნეები და მესამეში კი უცოდინარნი.

ჯგუფების ხელმძღვანელებს ენერგიულად მეცადინეობენ ჩვენთან და არავითარ შრომას არ ხარჯავენ წითელ-არმიელების გათვითცნობიერებისათვის.

ახალწვეულებიც დიდი ხალისით ესწრებიან ყოველ მეცადინეობას და ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ცოდნა შეიძინონ.

მუშაობის მსვლელობას ხელს უშლის მხოლოთ ერთი წითელი არმიელი, გვარად ჩუტლაშვილი ივანე, რომელიც თავისი საქციელით გვაცდენს ჩვენც და მეცადინეობის დროს ძალიან გვიშლის ხელს.

ხსენებული ჩუტლაშვილი სკოლაში მოსვლისთანავე ასტეხავს აურ-ზაურს ან მასწავლებლებთან, ან თვით თავის ამხანაგებში. ჩვენი მასწავლებლები ცდილობენ მის გამოსწორებას, მაგრამ ამაოდ. ის კიდევ განაგრძობს ამ ცუდ საქციელს.

ბევრჯერ თვით ამხანაგებმაც მისცეს შენიშვნა ამხ. ჩუტლაშვილს და მოუწოდეს მას გამოსწორებისაკენ, მაგრამ არც ამითი გამოვიდა არაფერი.

ამხ. ჩუტლაშვილო! დროა დაფიქრდე სად იმყოფები და გამოასწორო ეს ხაკლი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ, შენი ამხანაგები იძულებული ვიქნებით მოვახდინოთ შენი საჯარო გასამართლება, ამ ცუდი საქციელისათვის.

ახალწვეული შ. კელენჯერიძე.

# ცხენოსანი ლეგიონის საკლუბო საქმიანობა.

ლეგიონში ძლიერ მოისუსტებდა საკლუბო მუშაობა ამ უკანასკნელ ხანებამდე, მაგრამ ბანაკში გასვლის შემდეგ საგრძნობლად გამოცოცხლდა. მუშაობის ყოველი დარგი ამოქმედებულია და სათანადო შედეგებსაც იძლევიან.

განსაკუთრებით ნაყოფიერია სხვა და სხვა წრეების მუშაობა. არსებობს ლიტერატურული, ანტირელიგიური, მომღერალთა, დრამატიული, სანიტარული და ვეტერინარული წრეები.

ლიტერატურულ წრეში ითვლება სულ 28 წევრი, რომელთა უმრავლესობას წარმოადგენენ წითელ-არმიელები. მეცადინეობა სწარმოებს თითოჯერ კვირაში. წითელ არმიელები დიდი გულმოდგინებით ეკიდებიან მეცადინეობას.

ანტირელიგიური წრე დიდი ხანია არსებობს ლეგიონში, მაგრამ ფაქტიურად ბანაკში გასვლამდე არაფერს აკეთებდა. ამ ჟამად მისი მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

მომღერალთა წრე, დრამატიული, სანიტარული და ვეტერინარული წრეები მხოლოდ ბანაკში გასვლის შემდეგ იქნენ ამუშავებული. იანვრიდან აქამდე არაფერი გაკეთებულა წრეებში.

საჭიროა ძველი გულგრილობა და უმოქმედობა სავსებით იქნეს უკუგდებული და არ შეჩერდეს დაწყებული მუშაობის ტემპი.

კლუბის გამგეობას დიდი შრომა სჭირდება ამისთვის და არ უნდა დაიზაროს.

წ. არმ. ჩახაია.

# მოგვეცით გადადუღებული წყალი

**საარტილერიო ლეგიონის 3-მე ბატარეია**

ხსენებულ ლეგიონის 3-მე ბატარეიას, ბანაკში გასვლის შემდეგ არ ჰქონია გადადუღებული წყალი. წყურვილს ვიკლავთ გადაუდუღებელი წყლით, რაც ძლიერ უწყობს ხელს დეზინტერიის გავრცელებას არმიელებში.

ჩვენი უფროსები კარგად ხედავენ ამ მოვლენას, მაგრამ სამწუხაროდ ყურებსაც არ იბერტყენ. ავად გამხდარ არმიელს სცინიან და იმას კი არ აქცევენ ყურადღებას თუ რისგან ხდება ავათ წითელ-არმიელი.

მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ექიმი აძლევს დასვენების ნებას ზოგიერთებს, მაინც არ უწევენ ანგარიშს და გაყავთ სამეცადინოთ. ავადმყოფობა ამით რა თქმა უნდა უფრო რთულდება.

მიაქციეთ ყურადღება ამ გარემოებას, მოგვეცით ანადუღი წყალი.

სამხკორი ძირულელი.

# სიმართლის აღსადგენათ.

გაზეთ „წითელ არმიელის“ მე-№ 134-ში მოთავსებულია საპასუხო წერილი სათაურით „პასუხად ამხ. ავათმყოფთაგანს“. წერილში ლეგიონის უფროსი ექიმი ამხ. ლომთათიძე გამოდის ქსენონის სანიტრების დამცველათ და სწერს:

„ამხ. ავათმყოფთაგანმა უნდა იცოდეს, რომ სადილი მათთვის სანიტრებს მოაქვთ ლეგიონის უფროს მეთაურთა სასადილოდან, რომელიც მოთავსებულია ბანაკში. ქსენონი კი არის საზამთრო შენობებში. ამიტომ შესაძლებელია სადილის მოტანა დაგვიანებულიყო, რომელსაც არ ქონებია სისტემატიური ხასიათიო“.

რომ სასადილო შორს არის ამაში მეც გეთანხმებით ამხ. ლომთათიძე, მხოლოთ სადილის მოტანა თავის დროზე რომ მოუგვარებელია ამაში თქვენაც დამემოწმებით.

ნუ თუ დასაშვებია, რომ სადილი მოიტანონ ვახშმობის დროს, როგორც ეს ჩვენთან არის. ერთი ვერსის მანძილის გავლას ნუ თუ ამდენი დრო სჭირია?

რაც შეეხება დილ-დილაობით პურის დარიგების დროს მის დაკლებას, ესეც მართალია და თქვენ რომ ამბობთ: „ერთ შემთხვევას ქონდა ადგილი და ისიც გამოირკვა, რომ უკმაყოფილო ავათმყოფს პური ულუფაზე მეტი მიეღოო“, ეს სრული სიყალბეა. ხსენებულ წითელ არმიელს ერთი გირვანქა პურიც კი არ ექნებოდა მიღებული, როცა ადგილი ქონდა ამ შემთხვევას.

და თუ თქვენ ამხ. ლომთათიძე, მაინცა და მაინც დაჟინებით დაეყრდნობით ასეთ ყალბ ცნობებს, მაშინ მე მზად ვარ დაგიმტკიცოთ ყოველივე ზემოთ—ნათქვამი სისწორე სადაც გსურთ.

ავათმყოფთაგანი.

# ამ. კავკასიის ცაკში.

— ა.-კ. ცაკმა დაადგინა მიზან შეწონილათ იქნეს ცნობილი რ. ს. ფ. რ. სამოქალაქო კანონთა კოდექსიდან მე-137 მუხლის შეცვლა, რომელიც გულისხმობს ნოტარიალურ შემოწმებას სხვა და სხვა ხელშეკრულებებისას სახელმწიფო დაწესებულებებსა და წარმოებებს შორის.

— **უცხოელების მიერ ქვეშევრდომობის მიღების შესახებ** ა.-კ. ცაკმა დაადგინა: ქვეშევრდომათ იქნენ მიღებული ის უცხოელი, რომელნიც ეკუთვნიან მშრომელ ელემენტებს ან განიცდიან პოლიტიკურ დევნას თავის სამშობლოში და სხვა. ავტონომიურ ოლქებში ქვეშევრდომობის მოწმობას იძლევა ოლქების ცაკები და ქალ. ტფილისში, ბაქოში და ერევანში საქალაქო აღმასკომები.

— **სამხედრო პირთა შესახებ.** ყველა ის სამხედრო პირნი, რომელნიც იმყოფებიან დემობილიზაციაში თუ მათ გაიწვევენ უნდა მიიღონ დაწესებულებიდან თუ მათ ყავთ შრომის უნარ მოკლებული სარჩენები,—ორი თვის ხელფასი და თუ ყავთ შრომის უნარის მქონე ოჯახი. წევრები მაშინ დაწესებულება მოვალეა მისცეს ერთი თვის ხელფასი.

— **ა.-კ. ცაკმა დაამტკიცა** დადგენილების პროექტი საქალაქო ტელეფონის ქსელების მოწყობის და შენახვის შესახებ, რომელნიც იმყოფებიან სამაზრო აღმასკომების განკარგულებაში.

# რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საზოგადოებაში.

**მთლიანი საწევრო გადასახადის შემოღება ს. ს. რ. კ. მთელ ტერიტორიაზე.**

„რემედასს“-ის აღმასკომი თავის ცირკულიარით № 41 აარსებს შემდეგ მთლიან საწევრო გადასახადს:

**პირველ ხარისხისთვის**, რომელსაც მიეკუთვნებიან გლეხები, წითელ-არმიელები, უმუშევრები, მასწავლებლები და მათი ოჯახის წევრები—24 კაპ. წელიწადში.

**მეორე ხარისხისთვის**—მუშები, მოსამსახურენი, უფ-შემადგენლობა, რომლების თვიური ხელფასი არ აღემატება 50 მანეთს—60 კაპ.

**მესამე ხარისხს**—მიეკუთვნებიან მუშები, მოსამსახურენი და უფ-შემადგენლობა, რომელნიც იღებენ ჯამაგირს თვეში 50 მანეთზე მეტს, ეს უკანასკნელები იხდიან წელიწადში —1 მანეთს.

საწევრო გადასახადს იხდიან წელში ორჯერ. მსურველებს შეუძლიათ თავისი სურვილებისამებრ რამდენიც სურთ, იმდენი შეიტანონ საწევრო გადასახადზე მეტი.

მ. ყ.

# ამბები სოფლებიდან.

**მეცხვარეობა.**

თელეთის გლეხკომს განზრახული აქვს მოჰკიდოს ხელი მეცხვარეობას და ჩააბას ამ საქმეში სოფლის ულარიბესი გლეხობა.

**საქონლის ჭირი.**

თუშეთში თავი იჩინა საქონლის ჭირმა, რომელთან საბრძოლველათ თელავიდან გაემგზავრენ საქონლის ექიმები.

**კოოპერაციის გასაჯანსაღებლად.**

ზუგდიდის აღმასკომმა წინადადება მისცა ყველა თემალმასკომებს გამოყონ ცალკე კომისიები, რომელნიც თვალყურს ადევნებენ სასოფლო კოოპერატივების მოქმედებას.

**მიწის მოწყობა.**

თელავის მაზრაში ამ ჟამად მუშაობს 5 მიწის მომწყობი.

**გლეხების არტელი**

სოფ. დარჩელში (ზუგდიდის მაზრა) შემდგარმა გლეხების არტელმა ჩაიბარა გლეხობისაგან წისქვილი. არტელის წევრებათ ითვლება 45 გლეხი.

# ახალი ამბავი.

— **მანქანების მიღება** საქსოვმა ქარხანა-კოლექტივმა მიიღო საზღვარ გარეთიდან 10 საქსოვი მანქანა და ექვსი ფილდიკოსის საქსოვი და ყელსახვევების საკეთებელი მანქანები.

— **კოოპერატიულ კურსებზე.** წარმოკავშირისა და ცეკავშირის მიერ მოწყობილი კოოპერატიული კურსები გაათავა სულ 255 კაცმა.

— **კამფეტების ქარხანა.** ტფილისში შესდგა ახალი არტელი, რომელიც ხსნის კამფეტების ქარხანას. არტელი დაამტკიცა სოც. უზრ. კომისარიატმა. არტელის წევრებათ არიან ომის ინვალიდები.

— **პროფსკოლათა რიცხვის გადიდება.** ტფ. აღმასკომის განათლ. განყოფილებამ შეადგინა კომისია ტფილისსა და მის მაზრაში პროფსკოლათა რიცხვის გადიდებისათვის სათანადო გეგმის გამოსამუშავებლათ.

— **საბავშვო ბაღები.** ტფ. აღმასკომის განათლების განყოფილებამ გადასწყვიტა გახსნას საბავშვო ბაღები, მომავალ სამოსწავლო წლიდან სოფ. საგარეჯოში და ალბულახში.

—**მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები**, ტფილისის განათ. განყ. დადგენილებით იხსნება დუშეთში და მანგლისში.

—**ცემენტის ქარხანა.** უმაღლეს სამეურნეო საბჭოს განზრახული აქვს გახსნას კავთის ხევში ცემენტის ქარხანა.

— **საზოგადო სამუშაოებში** 1-ლი ივლისისათვის მთელ საქართველოში ითვლებოდა 1000 უმუშევარზე მეტი.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**ახალი საჰაერო კრეისერი.**

საფრანგეთში ამ ჟამად სცდიან ბლერიოს სისტემის „117“-ტიპის მონოპლანს. კრეისერი შეასრულებს მრავალ ადგილიან გამანადგურებლის როლს. სხვანაირად რომ ვსთქვათ ეს ახალი კრეისერი თან გაყვება დღისით მომქმედ ყუმბარ მზიდავებს და დაიფარავს მათ მოწინააღმდეგის ქალაქებზე და შესანიშნავ ადგილებზე თავდასხმის დროს თავისი ცეცხლით-მათი ძალების თავდასხმისაგან.

ახალ საჰაერო კრეისერს აქვს სრულიად ახალი ფორმა მოყვანილობა, რომელიც უჩვეულოა საფრანგეთის საავიაციო ტეხნიკაში. მისი ზედაპირი შესდგება სამი ნაწილისაგან: ცენტრალური ნაწილის, და ორი ფრთისაგან.

ცენტრალური ნაწილი დამზადებულია ფოლადისა და დურალიუმინის მილებისაგან.

ნავიგატორის, ბომბის მსროლელის, ტყვია მფრქვევზე მომუშავისა და ტელეგრაფისტის მოსათავსებელი ადგილი ჰაეროპლანზე მოთავსებულია ისე, რომ თვალთვალის წარმოებისათვის მათ ხელს არ უშლის ჰაეროპლანების პროპელერები.

ფიუზელიაჟში მოთავსებული არიან მფრინავი, მექანიკოსი, დიდი ფოტოგრაფიული აპარატი და საწვავი მასალით სავსე რეზერვუარები. ჰაეროპლანს აქვს ორი მოტორი 400 ცხენის ძალით თითეული.

მოტორის უკან მოთავსებულია ტყვია მფრქვევი, რომელსაც ყოველი მიმართულებით შეუძლია ცეცხლის გახსნა: ზევით, ფრთების ქვეშ, წინ, უკან და ძირს ვერტიკალურად. ამათ გარდა საჰაერო კრეისერზე არის რადიო სადგური.

მფრინავის მოსათავსებელი გიადლი დაცულია ჯავშანით, ხოლო კრეისერის რაზმის თითეულ წევრს თან აქვს პარაშუტები.

**უდიდესი გვირაბი მსოფლიოში.**

ეხლახან დაამთავრეს ამერიკაში (კალიფორნია) უდიდესი გვირაბის გათხრა. თავისი სიგრძით ის უდრის 21 კილომეტრს. აერთებს მთებში მოთავსებულ ორ ტბას, ჰიდროსადგურისათვის წყლის მოსაწოდებლად, რომელიც დაამუშავებს ყოველ წლიურად 14 ნახ. მილიარდ ელექტრო ენერგიისა კილოუატ საათს.

საინტერესოა თუ როგორ აწარმოებდენ მუშაობას გვირაბის გაყვანის დროს. ადამიანის შრომა უმეტეს ნაწილად აქ შეცვლილი იყო მანქანების მოქმედებით.

მექანიკური ნიჩბები, ახალი ტეხნიკური იარაღები, ახალი ამაფეთქებელი ნივთიერება ძლიერ აჩქარებდა მუშაობას. საინტერესოა ისიც, რომ ერთი თავიდან დაწყებული მუშაობა გვირაბის გასათხრელად ისე სისწორით მიდიოდა, რომ მისი მეორე თავიდან მომუშავე მუშებს შეხვედრის დროს ერთ მილიმეტრი აღმოჩნდა გადახრა. ასე პირდაპირ უახლოვდებოდენ მუშები ერთმანეთს.

# პასუხი შეკითხვაზე.

**წ. არ. კოპალეიშვილს.** მართალია ადგილი არ გენახებათ, მაგრამ სამხედრო სამსახურის გათავებისას, თქვენ უპირატესობა გეძლევათ სხვებთან შედარებით და თქვენი უწყებაში მიღებული იქნებით სამსახურში. რაც შეეხება პროფკავშირიდან მექანიკურად გამორიცხვის შესახებ, ეს თქვენთვის არ წარმოადგენს დიდ დაბრკოლებას, რადგან სამხედრო სამსახურში ყოფნა ფრიად საპატიო მიზეზია და სამსახურის დასრულებისას აღდგენილი იქნებით პროფკავშირის წევრის უფლებებში.

# ჩვენი ფოსტა.

**სამხედრო მეთაურთა გაერთიანებული სკოლის მესამე ასეულს.** გამოწერილი გაქვთ 33 ცალი გაზეთი, რომელიც აგე მეორე თვეა სისტემატიურად გეგზავნებათ. ფული კი არ შემოგიტანიათ. გვაცნობეთ შამოგაქვთ ფული თუ არა.

**ამავე სკოლის პირველ ასეულს.** თქვენ გეგზავნებათ 41 ცალი გაზეთი „წითელ არმიელი“. ფულს თუ არ შემოიტანთ შეგიწყდებათ გზავნა. საჭიროა გადმოგვიგზავნოთ იმ ადგილების სწორი მისამართი, რომლებსაც გამოწერილი აქვს გაზეთები,

**ამხ. წიწაკას.** თქვენი კორესპონდენცია „ცვალებადელებ ჩვენთან“ დაგვიანებულია. ასეთი ხასიათის წერილი თქვენი ასეულიდან დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. მოიწერეთ ხშირად წერილები.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

# დივიზიის სამმართველოს „რემედასს“-ის

**ბიურო სთხოვს ყველა წევრებს შემოიტანონ მიმდინარე წლის მეორე ნახევრის საწევრო გადასახადი და წალებული ჟურნალების საფასური.**

**შემდეგი გადასახადი იქნება 1926 წ. იანვარში.**

**ბიუროს წევრი გ. ყ—ძე**

ნ. ფ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.